კომუნისტი

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

СССР

ПРОЛЕТАРЛАРЫ ДЫНЯНЫ БАРЫЫНДАН, БИРЛЕШИНИЗ!

ПРОЛЕТАРЛАРЫ ДЫНЯНЫ БИРЛЕШИНИЗ!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ

რკინიგზის ტრანსპორტის მძლავრი აღმავლობისათვის!

ამიერკავკასიის მაგისტრალის მუშაკთა აქტივის კრება

საბჭოთა რკინიგზელების მრავალათასიანი არმია თავდადებით შრომობს, რათა პირნათლად შეასრულოს პარტიის XXII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის მიერ დასახული ამოცანები, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მითითებანი, რომლებიც მან რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირზე წამოაყენა. აზერბაიჯანისა და ამიერკავკასიის მაგისტრალების გაერთიანება ამიერკავკასიის რესპუბლიკების ერთიან სარკინიგზო კონვეიერად, რაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე განხორციელდა, დადებით გავლენას იხდენს გზის საქმიანობაზე. მაგრამ ახალი გადიდებული მოთხოვნები, ტვირთზიდვის ზრდა ავალებს მაგისტრალის მუშაკებს მკვეთრად გაუმჯობესონ ყველა რგოლის მუშაობა, რათა წარმატებით შეასრულონ შვიდწლედის მეხუთე წლის გეგმა. ამ საკითხებზე გაამახვილეს ყურადღება 16 აპრილს გამართული გზის მუშაკთა აქტივის კრების მონაწილეებმა, რომელზეც მოხსენება გააკეთა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსმა **ბ. ი. ქადაგიძემ.**

შარშან, თქვა ამხ. ბ. ი. ქადაგიძემ, გზამ გადაჭარბებით შეასრულა ყველა ძირითადი დავალება. გეგმის გადამეტებით გადატანილია ასეულ ათასეულ ტონა ტვირთი. დატვირთვის მოცულობა წინა წელთან შედარებით გაიზარდა 11,6 პროცენტით, გადმოტვირთვისა — 9,6 პროცენტით, ტვირთბრუნვისა — 7,9 პროცენტით და მგზავრთა გადაყვანისა — 3,9 პროცენტით. გადაჭარბებით შესრულდა შრომის ნაყოფიერების გადიდების დავალება. შვიდწლედის დამდეგიდან პირველად წარმატებით შესრულდა ეკონომის ბრუნვის წლიური ნორმა, რაც დავალებასთან შედარებით საათნახევრით და მეტად დაჩქარდა. მკვეთრად გაუმჯობესდა მატარებლების მოძრაობის გრაფიკის შესრულება.

კარგად იშრომა შარშან აზერბაიჯანის რკინიგზის კოლექტივმაც.

ამავე დროს არის სერიოზული ნაკლოვანებებიც. ამიტომ საჭიროა დაწვრილებით გავაანალიზოთ მუშაობა, გამოვავლინოთ ეს ნაკლოვანებანი, ავამძიქედოთ რეზერვები და დავრაზმოთ ადამიანები ახალ გადიდებულ დავალებათა შესასრულებლად.

აზერბაიჯანისა და ამიერკავკასიის რკინიგზების გაერთიანება ეოთ — ამიერკავკასიის რკინიგზად ახალ შესაძლებლობებს სახავს რეზერვების უკეთ გამოყენებისა და მთელი საექსპლოატაციო მუშაობის დონის ამაღლებისათვის. ახლა შესაძლებელია განხორციელდეს ამიერკავკასიის ეკონომიურ რაიონში შემავალ რესპუბლიკათა სატრანსპორტო კავშირურთიერთობის რაციონალიზაცია, სავაგონო პარკის უკეთესი რეგულირება, უფრო ფართოდ გამოვიყენოთ ცარიელი ვაგონები გზადაგზა ტვირთების გადასატანად. გზების გაერთიანება ხელს უწყობს სწრეკ მხრების გაგრძელებას, მატარებლების წონითი ნორმების უნიფიკაციას, ლოკომოტივების გამოყენების დონის ამაღლებას. ამასთანავე შეიძლება უფრო მიზანშეწონილად გავანაწილოთ და გამოვიყენოთ მატერიალური რესურსები, ტექნიკა, მოწყობილობა, საწარმოთა და სამშენებლო ორგანიზაციათა სიმძლავრე.

გაერთიანებული გზის კოლექტივმა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში წარმატებით შეასრულა ტვირთზიდვის გეგმა. წლიური დავალების გადამეტებით გადატანილია ასეულ ათასობით ტონა ტვირთი. ვაგონის ბრუნვა ნორმასთან შედარებით 6 საათით და მეტად დაჩქარდა. გადაჭარბებით შესრულდა ელმავლების, თბომავლებისა და ორთქლმავლების საღდგომისო გარბენის, აგრეთვე სატვირთო მატარებლის წონის დავალება. ვაგონის მოცდენა სატვირთო ოპერაციებზე პირველად შესრულდა გეგმის დონეზე, ტრანზიტში კი — ერთი საათით ნაკლებ დროში.

მაგრამ ყველგან როდი მუშაობენ რიტმულად. სამტრედიისა და ერევნის განყოფილებებმა, მაგალითად, ვერ შეასრულეს მატარებლის საშუალო წონის დავალება, ერევნის განყოფილებამ, გარდა ამისა, ვერ შეასრულა ტექნიკურ სადგურებში ვაგონების მოცდენის ნორმა. აზერბაიჯანის განყოფილებამ ვერ გაანაღდა ელმავლებისა და ორთქლმავლების საღდგომისო გარბენის, აგრეთვე სატვირთო ოპერაციებზე ვაგონების მოცდენის ნორმა.

არის ყველა შესაძლებლობა, რათა მთლიანად დაკმაყოფილდეს მოთხოვნილებანი ყველა სახეობის ტვირთის გადატანაზე. მაგრამ ეს არ კეთდება. აზერბაიჯანის, თბილისის, ერევნის განყოფილებებმა არ გადაიტანეს მთელი რიგი დიდმნშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ტვირთები.

ახლა, გაზაფხულის პერიოდში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თესვისათვის საჭირო ტვირთების სრულ და დროზე გადატანასა და გადატვირთვას, იმას, რომ უზრუნველყოფილ იქნეს საშენ მასალათა გადატანა სამშენებლო სამუშაოთა სეზონისათვის.

31 სადგურიდან ათმა — სოხუმის, ქუთაისი-პირველის, ზესტაფონის, აქსტაფის, კიროვაბადის, უჯარისა და სხვა სადგურებმა დაარღვიეს მოცდენის დადგენილი ნორმები. ვაგონების მოცდენის ნორმებს არ იცავს ბევრი საშუალეო სადგურიც. მაგალითად, მარნეულის სადგურში, რომლის უფროსი ამხ. სანიკიძეა, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 24,5 საათისა, შარშან ვაგონები საშუალოდ 66 საათს მოაცდინეს.

კიშლის სადგური დიდი ხნის განმავლობაში არადამაკმაყოფილებლად მუშაობდა, თავს ვერ არომეველა ადგილობრივი ტვირთების ნაკადს. მარტის მეორე დეკადის დამლევისათვის აქ ორი ათასზე მეტი ვაგონი დაგროვდა. გარდა ამისა, ბალიჯარისა და გიუძეკის სადგურებში იდგა კიშლის სადგურში მიმავალი დაახლოებით 400 დატვირთული ვაგონი. ვაგონების მოცდენამ სატვირთო ოპერაციებზე თებერვალში 65 საათს მიაღწია. კიშლიში გავგზავნეთ სპეციალური ბრიგადა, რომელმაც აზერბაიჯანის განყოფილების მუშაკებთან ერთად მოკლე დროში ბევრად გაიუმჯობესა სადგურის მუშაობა. ეს მაგალითი საუკეთესო ილუსტრაციაა იმისა, თუ რას შეიძლება მიგალწიოთ „ვიწრო“ ადგილებში დროული და ოპერატიული ჩარევით.

ჩვენში არიან სადგურების უფროსები და განყოფილებათა ხელმძღვანელები, რომლებიც უშვებენ ადგილობრივი ტვირთების დიდ დაგროვებას, შემდეგ კი მოითხოვენ შეწყდეს დატვირთვა. ასეთ, უკაცრავად პასუხია, „ღონისძიებას“ არავითარი შეღავათი არ მოაქვს.

სადგურების მუშაობა უნდა გავაუმჯობესოთ არა დატვირთვის ხელოვნური შეზღუდვის გზით, არამედ მუშაობის სწორი ორგანიზაციის საფუძველზე.

ბევრ სადგურში მოწინავე მატარებლის შემდგენლები, სამანევრო დისპეტჩერები, სადგურის მორიგეები იყენებენ მატარებლების დაშლისა და შედგენის ჩქარსწყლ ხერხებს, ვაგონების ნაკადური დახარისხების მეთოდს, არ უშვებენ ადგილობრივი ვაგონების განმეორებით გადამუშავებას. სამტრედიის სადგურში, სადაც მუშაობენ ინიციატივიანი შემდგენლები — ამხ. გაგუა, გოჩიბერაშვილი და სხვები, მატარებლების 78 პროცენტი ჩქაროსწყლი დახარისხების მეთოდით დამუშავდა. ფოთისა და ტყიბულის სადგურებში, სადაც მოწინავე მეთოდებს წარმატებით იყენებენ სადგურის მორიგეები ამხ. ურუშაძე, ბუბუშვილი, სამანევრო დისპეტჩერი ამხ. გუგუშვილი, შემდგენელი ამხ. დუნდუა და სხვები, მატარებლების 80 პროცენტს ჩქაროსწყლი ხერხებით ამუშავებენ. მაგრამ მოწინავეთა ინიციატივას არ განაზოგადებენ და არ იყენებენ სადგურების მუშაობის ტექნოლოგიურ პროცესთა ძირეული გარდაქმნისათვის, ვაგონების მოცდენის შემცირებისათვის.

ამხ. ქადაგიძემ დაწვრილებით გააანალიზა მატარებლების მოძრაობის გრაფიკის შესრულება, მოიყვანა მაგალითები, როცა ცალეული მუშაკები დაუდევრად ეკიდებიან მინდობილ საქმეს. ამის შედეგად პირველ კვარტალში სატვირთო მატარებლების გრაფიკით მოძრაობამ გზაზე შეადგინა მხოლოდ 89,7 პროცენტი, აზერბაიჯანის განყოფილებაში — 86,4 პროცენტი, თბილისისაში — 90,6 პროცენტი.

ყველაზე მეტი დარღვევები აქვთ მოძრაობისა და სალოკომოტივო მეურნეობის მუშაკებს. მაგალითად, ლოკომოტივების გაფუჭებისა და გადარბენის დროის დაუცველობის გამო მარტში გრაფიკიდან ამოვარდა 767 სატვირთო და 107 სამგზავრო და საგარეუბნო მატარებელი. არასწორი დისპეტჩერული რეგულირების გამო დაიგვიანა 440 სატვირთო მატარებელმა; არასწორი რეგულირების განსაკუთრებით ბევრი შემთხვევა აქვთ თბილისის განყოფილების სამატარებლო დისპეტჩერებს.

ყოველივე ეს იმით აიხსნება, რომ ზოგიერთი ხელმძღვანელი ჯეროვნად არ აფასებს მატარებლების მოძრაობის გრაფიკისა და განრიგების მნიშვნელობას, არ ეხმაურება დარღვევებს, უკონტროლოდ დატოვებული ხაზის მუშაკები კი აყოვნებენ არა მარტო სატვირთო, არამედ სამგზავრო მატარებლებსაც კი.

მალე ამოქმედდება მატარებლების მოძრაობის ახალი, უფრო პროგრესული ზაფხულის გრაფიკი. ახლავე უნდა დავიწყოთ მზადება და პირველი დღეებიდანვე უზრუნველყოთ ახალი განრიგების 100 პროცენტით შესრულება. ჩვენ ყველა პირობა გვაქვს ამისათვის; უწინარეს ყოვლისა, გვყავს დიდი რაზმი მოწინავე მუშაკებისა, რომლებიც უნარიანად წარმართავენ უბნების, სადგურების, დეპოებისა და სხვა ქვედანაყოფების მუშაობას გრაფიკის მიხედვით. მათ შორის არიან ენერგიული და ინიციატივიანი მოძრაობის დარგის მუშაკები ამხ. ნიკოლაშვილი, ხიტირია, რაფაელიანი, გუმბატოვი, ველიევი; მემანქანეები ამხ. შუკიეროვი, პოლოსიანი, გელეიშვილი, აბასაშვილი, მელქაძე და ბევრი სხვა.

ახლა ამოცანა ის არის, რომ უფრო ფართოდ გავშალოთ შეჯიბრება დისპეტჩერთა და სადგურების მუშაკთა კოლექტივებში, სალოკომოტივო ბრიგადებსა და მატარებლების მოძრაობასთან დაკავშირებული პროფესიების მუშაკთა შორის, რათა ზუსტად სრულდებოდეს გრაფიკი და დიდმწარმოებლურად ვიყენებდეთ მოძრავ შემადგენლობას. უნდა გავაძლიეროთ მომთხოვნელობა და პასუხისმგებლობა გრაფიკის დაცვისათვის და მივაღწიოთ მის ზუსტად შესრულებას.

უდიდესი რეზერვებია რიტმული დატვირთვისა და გადმოტვირთვის ორგანიზაციაში. საექსპლოატაციო მუშაობის დ-ცემა კვირადღეებსა და დასვენების შემდგომ დღეებში დიდ ზარალს აყენებს ტრანსპორტის მუშაობას, სახალხო მეურნეობას. ჩვენც როდი ვიხვეშთ სახელს ამით, უნდა ავიღოთ მაგალითი სამტრედიის განყოფილებისაგან, სადაც დასვენებისა და დასვენების შემდგომ დღეებში ასრულებენ დატვირთვის გეგმებს.

მომხსენებელმა დიდი ყურადღება დაუთმო სატვირთო მეურნეობის სწორ ორგანიზაციასა და გაძღოლას, რომელიც ტვირთბრუნვის ზრდის, ლოკომოტივების ეფექტიანი გამოყენების, ვაგონების ნორმალურ ბრუნვის, ტვირთების ეკონომიურ ტარების, ტვირთბარეულობის, ტვირთების ეფექტიანი ადგილმოძრაობის, ტვირთების ადგილზე ტარების, ტვირთების ადგილზე ტარების, ტვირთების ადგილზე ტარების

ეს დღეები კაპროლაქტამის მშენებლობაზე

წინასამაისო დღეებში დიდი შრომითი აღმავლობაა „დიდი ქიმიის“ გასაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტზე. ეს გასაგებია. ახლოვდება მთელი მსოფლიოს ხალხთა დღესასწაული — პირველი მაისი. ქართული ქიმიის მშენებლებს გადაწყვეტილი აქვთ შეხვდნენ ამ დღესასწაულს გარკვეული წარმატებებით, საექსპლოატაციოდ მოამზადონ ახალი კორპუსები, ახალი საამქროები.

რუსთავის პროგვენტილაციის სამმართველომ (სამმართველოს უფროსი მ. ჩიქოვანი, უბნის უფროსი ა. ბაღდასაროვი) მთლიანად დაამთავრა რუსთავის კაპროლაქტამის საწარმოზე ყველა სახის სავენტილაციო სამუშაო. სამუშაოთა შეფასება ასეთია „ფრიადი“, „კარგი“.

— ამრიგად, — ამბობენ ახლა სამშენებლო მოედნებზე, — პრომგენტილაციის სამმართველოს მემონტაჟეები პირველები მივიდნენ ფინიშზე.

— ეს გამოიჩინა თავი? — შეეკითხე პრომგენტილაციის სამმართველოს უბნის უფროსს ა. ბაღდასაროვს.

— მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, — გვეუბნება ბაღდასაროვი და დასძენს: — უკეთესთა შორის შემძლია დავასახელო უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი გ. გრძელიშვილი, რიგითი სამუშაოთა მწარმოებლები გ. ლომთაძე, ვ. ბურლინი, კომუნისტური შრომის ბრიგადირები ვ. ტიჩინინი, ს. ესსიდეუნკო, ზეინკლები ი. ვოლკოვი, ი. შამილინი, ზ. ქერიმოვი და სხვები.

ასევე ქებით იხსენიებენ მშენებლობაზე „იუმონტაჟაეტმატიკის“ თბილისის სამმართველოს და რუსთავის უბანს, რომელსაც ხელმძღვანელობენ ი. კოჩიაშვილი და თ. ხანჯალაძე. სხვათა შორის რამდენიმე ხნის წინათ ეს სამონტაჟო ორგანიზაცია ჩამორჩენილთა რიგებში იყო. მაღე სამმართველოს ხელმძღვანელმა მუშაკებმა გაძლიერეს მრავალი შესაძლებლობანი და მშენებლობის ტემპების დასაჩქარებლად მიიღეს მეტად გონივრული და საჭირო ღონისძიებანი. კერძოდ, უბნები და ბრიგადები დააკმაყოფილეს საუკეთესო სპეციალისტებით; უზრუნველყვეს მათი მომარაგება ყველა საჭირო მოწყობილობითა და მასალებით.

მუშაობის ნორმალურად წარმართვისათვის საჭირო იყო ასობით რთული ფარების, მექანიზმებისა და დატვლების დამზადება. ყოველივე ეს მათ უხდა მიეღოთ დამკვეთებისაგან. ამ უკანასკნელთ კი ისინი არ აღმოაჩინდა საწყობებში. მაშინ მემონტაჟეებმა თავიანთი ძალებით შეძლეს მათი გამზადება. საკითხების ასეთმა ოპერატიულმა გადაწყვეტამ დიდად დააჩქარა მშენებლობის ტემპები, შესრულებულ იქნა განრიგით გათვალისწინებული სამუშაოები. განსაკუთრებით კარგად იმუშავეს მემონტაჟეებმა ფენოლის, ნახევარპროდუქტების, ოლეუმის და სხვათა საწყობების, აგრეთვე ციკლომექსანონ-ალიზის, ციკლომექსანონ-ალიზის, ნახევარპროდუქტების რექტიფიკაციის და სხვა კორპუსების საკონტროლო — საზომი ხელსაწყოების მონტაჟზე.

და როცა იკითხავთ, თუ ვინ იყო, ყველაზე აქტიურად რომ მოქმედებდა სამონტაჟო სამუშაოების დროულად დამთავრებისათვის, ჩამოგითვლიან მეწყობილობა. სულ მოკლე ხანში ამუშავდება ანონისა და ანოლის ჯგუფის საამქროები. გრონნოდან უკვე მიღებულია ფენოლის პირველი პარტია. ოლეუმის საწყობშიც შემოვიდა ვოსკრესენსკიდან მიღებული პირველი ოლეუმი. კაპროლაქტამის საწარმოს ვეებერთელა კორპუსებში, რომლებიც აღურიცხავია ამ დღეებში ტექნიკით, ამჟამად მიდის უკანასკნელი სამონტაჟო სამუშაოები. შორს აღარ არის ის დღე, როცა ქვეყანა ქართულ კაპროლაქტამს მიიღებს.

და რომ დაჩქარდეს ამ მეტად მნიშვნელოვანი ქიმიური პროდუქციის მიღება, საჭიროა აქედანვე აღმოიფხვრას ნაკლოვანებანი, რაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ აქვთ მშენებელ-მემონტაჟეებს, თვით დამკვეთს — აზოტოვანი სასუქების ქარხანას.

ერთ-ერთ მტკივნეულ საკითხად კვლავ რჩება სქემებისა და პროექტების შეუსაბამობა და მშენებელ-მემონტაჟეთა მოუმარაგებლობა დანადგარმოწყობილობით.

აი უკვე რამდენიმე დღეა წყლის გამწმენდ მოწყობილობაზე მიმდინარეობს გაძლიერებული მუშაობა იმისათვის, რომ უახლოეს დღეებში მისცენ გაწმენდილი წყალი ანონისა და ანოლის ჯგუფის საამქროებს. ამ სამუშაოთა წარმოების დროს აღმოჩენილ იქნა პროექტებისა და სქემების მრავალი შეუსაბამობა. ამან შეაფერხა მშენებლობის ტემპები. აღნიშნული სამუშაოების პროექტებში ნაჩვენები არ იყო გამაგრების სამუშაოების და საძირკვლების ჩაყრის ადგილები. მემონტაჟეებმა ვერ შეძლეს მოძრავი ტრანსპორტიორების დამონტაჟება იმის გამო, რომ არ აღმოაჩინდათ ნახაზები. საოცნებო პროექტების უქონლობის მიზეზით ჩაიშალა აგრეთვე აზოტის გამოცდის სამუშაოები 973 კორპუსზე.

ახლა დანადგარ-მოწყობილობის შესახებ: 958 კორპუსზე მეტალურგპროკატმონტაჟის სამმართველოს დავალებული ჰქონდა გამოეცადა აპარატები. განრიგის ეს პუნქტი არ იქნა შესრულებული იმის გამო, რომ ქარხანამ ვერ უზრუნველყო ისინი 6 ცალი აპარატით.

აი უკვე ორი-სამი კვირაა, რაც გაჭიანურდა აგრეგატების მონტაჟი და გამოცდა გოგირდის საწყობში და საღუმელე განყოფილებაში, ამის მიზეზი ის არის, რომ მემონტაჟეებს არ გააჩნიათ ოთხი დისკოიანი საკეტი.

შაბათს, 13 მარტს, კაპროლაქტამის საწარმოს მშენებლობაზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მრწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიუროს ამბ. გ. ა. გეგეშიძის ხელმძღვანელობით ჩაატარა მორიგი ოპერატიული თათბირი. მშენებლობაში არსებული ნაკლოვანებების სალიკვიდაციოდ — კერძოდ მომარაგების გაუმჯობესების მიზნით, აგრეთვე მშენებელთა ნახაზებითა და პროექტებით უზრუნველყოფისათვის თათბირმა მიიღო კონკრეტული ღონისძიებანი.

თათბირმა, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ლაბახუა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგე გ. ვაშაკიძე, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი გ. ქართველიშვილი, პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. მენთეშაშვილი და სხვები, დაამტკიცა ახალი კვირეული განრიგი. ამ კვირის მთავარი ამოცანაა მომზადდეს ყველა პირობა მომავალი კვირიდან კაპროლაქტამის ერთ-ერთი კომპონენტის — ანონის მისაღებად.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

მემონტაჟეებმა ფინიში გადალახეს

ზრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით საქართველოს სსრ სახანძრო დაცვის მუშაკთა დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახანძრო დაცვის 45 წლის თავთან დაკავშირებით ხანგრძლივი და უმწიკლო სამსახურისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით საქართველოს სსრ სახანძრო დაცვის მუშაკები:

1. **აბაშიძე** დიმიტრი არჩილის-ძე — ქ. წყალტუბოს სახანძრო რაზმის უფროსი;
2. **არსანიძე** ვარლამ ანთიმოზის-ძე — ამბროლაურის რაიონის უფროსი სახანძრო ინსპექტორი;
3. **ბარამაშვილი** დიმიტრი გიორგის-ძე — გურჯაანის რაიონის სახანძრო ინსპექტორი;
4. **ბასტატესი** ნიკოლოზ ალექსის-ძე — საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს განყოფილების უფროსის მოადგილე;
5. **ბზეკანავა** დავით ბორისის-ძე ქ. ბათუმის მე-15 გასამხედროებული სახანძრო ნაწილის უფროსი;
6. **ბიგანიშვილი** ივანე გიორგის-ძე — ქ. თბილისის მე-8 გასამხედროებული სახანძრო ნაწილის მეხანძრე;
7. **გაგიშვილი** გიორგი იაგორის-ძე — სამტრედიის რაიონის უფროსი სახანძრო ინსპექტორი;
8. **გაბარაევი** სამსონ ვასილის-ძე — სამხრეთ ოსეთის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს სახანძრო დაცვის ინსპექციის უფროსი;
9. **გახოიძე** ბუდუ ლევანის-ძე — ქ. თბილისის მე-2 დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის მეხანძრე;
10. **გელაშვილი** არჩილ ალექსანდრეს-ძე — ქ. რუსთავის მე-13 გასამხედროებული სახანძრო ნაწილის მეხანძრე;
11. **დოლიძე** გიგი ბენიამინის-ძე — ქ. ბათუმის მე-10 გასამხედროებული სახანძრო ნაწილის ათეულის მეთაური;
12. **ეზუგბა** სამსონ კოწუს-ძე — ქ. სოხუმის 1 სახანძრო რაზმის ათეულის მეთაური;
13. **ეიტინგანი** ვიქტორ სოლომონის-ძე — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სახანძრო დაცვის ინსპექციის უფროსი;
14. **ეძგვერაძე** ერმალო გიორგის-ძე — გარდაბნის რაიონის სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ინსპექციის უფროსი;
15. **ვალიევი** მამედ მაგარამ ოღლი — დაბა დმანისის სახანძრო რაზმის უფროსი;
16. **ზადეშვილი** თევდორე ალექსის-ძე — ქ. ცხინვალის სახანძრო რაზმის უფროსი;
17. **ზუკაკიშვილი** დავით იასონის-ძე — ქ. ბორჯომის სახანძრო რაზმის უფროსი;
18. **იაკობიძე** ვასილ თევდორეს-ძე — გორის რაიონის სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ინსპექციის უფროსი;
19. **კორეინეიშვილი** გრიგოლ ტიმოთეს-ძე — ქ. თბილისის გასამხედროებული სახანძრო დაცვის განყოფილების ოპერატიული მორიგე;
20. **მეძმარიაშვილი** ნიკოლოზ ვიქტორის-ძე — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სახანძრო უშიშროების დაცვის განყოფილების უფროსის მოადგილე;
21. **ნალბანდიანი** არმენ მნაცაკანის-ძე — საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს განყოფილების უფროსი ინსპექტორი;
22. **ნაჭყებია** ალექსი ივლონის-ძე — საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს განყოფილების უფროსი ინსპექტორი;
23. **ნიკიტინი** ილგუჯა ალექსის-ძე — ქ. რუსთავის მე-13 გასამხედროებული სახანძრო ნაწილის ყარაულის უფროსი;
24. **ნიკოლაიშვილი** დავით პლატონის-ძე — საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ახალციხის ორგანიზაციის თავმჯდომარე;
25. **ოლეინიკოვი** ალექსი თევდორეს-ძე — ქ. გაგრის მე-9 დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის მეხანძრე;
26. **სიხარულიძე** გრიგოლ მელიტონის-ძე — ქ. ბათუმის მე-14 გასამხედროებული სახანძრო ნაწილის ათეულის მეთაური;
27. **ქავეარაძე** სერგი მოსეს-ძე — ქ. რბილისის მე-2 დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის უფროსი;
28. **ქარჩავა** ალექსი სამსონის-ძე — ქ. გაგრის მე-9 დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის ცალკე საგუშაგოს ათეულის მეთაური;
29. **ქსოვრელი** გიორგი გიორგის-ძე — საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სახანძრო ოლქის სამმართველოს სასწავლო რაზმის მასწავლებელი;
30. **ცინტერაძე** თეოფანე დურსუნის-ძე — ქ. ბათუმის მე-10 გასამხედროებული სახანძრო ნაწილის მეხანძრე;
31. **ხელაძე** ნიკოლოზ ოსების-ძე — ქ. ლაგოდეხის სახანძრო რაზმის უფროსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

ქ. თბილისი.
1963 წლის 17 აპრილი.

სახელოვანი წლისთავი

ჰავანა, 16 აპრილი. საკდესის კორესპონდენტი ნ. ჩიბირი იუწყება: „პლაია ხირონი“ — ეს ორი სიტყვა გახდა კუბელი ხალხის გმირობის, სამშობლოს და რევოლუციისადმი მისი ურყევი ერთგულების სიმბოლო, იმ ადამიანთა გამარჯვების სიმბოლო, რომლებიც იბრძვიან თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის, მშვიდობისა და ბედნიერებისათვის. ეს ორი სიტყვა ისტორიაში შევიდა აგრეთვე როგორც იმპერიალიზმის დამარცხებისა და იმის სინონიმი, რომ უძლურია იმპერიალიზმის მისწრაფება — დაახრჩოს ხალხი, რომელმაც საკუთარ ხელში აიღო თავისი ბედი.

1961 წლის 17 აპრილამდე, როცა დაიწყო იმპერიალისტთა დაქირავებული აგენტების დიდი ხნიდან მომზადებული ინტერვენცია რევოლუციური კუბის წინააღმდეგ, კუბელებშიც ცოტა ვინმე იცნობდა დაბას, რომელსაც პლაია ხირონი ერქვა.

იმ გეგმების შესაბამისად, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ და სამხედრო სამინისტრომ შეიმუშავეს, განზრახული იყო პლაია ხირონი გამაგრებულ პლაცდარმად გადაექციათ. ამ გეგმებში შედიოდა აგრეთვე მეტაცებულ ტერიტორიაზე შეექმნათ მთავრობა კონტრრევოლუციონერი ნაძირალებისაგან, რომელიც მერმე „დახმარებას“ სთხოვდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ლათინური ამერიკის ზოგიერთი ქვეყნის მთავრობებს.

მაგრამ ამ ბოდვითს გეგმებს განხორციელება არ ეწერათ. უკვე 18 აპრილს ნათელი გახდა, რომ საქმე სულაც არ მიდიოდა ისე, როგორც გეგმავდნენ ინტერვენტები და მათი ბატონები, ხოლო 19 აპრილს სალამოს ეჭვი აღარ იყო, რომ იმპერიალისტური ავანტიურა რევოლუციური კუბის წინააღმდეგ სამარცხვინოდ ჩაიფუშა.

კუბელი ხალხი ერთსულოვნად დაირაზმა თავისი სამშობლოს და რევოლუციის დასაცავად.

გამარჯვება, რომელიც კუბელმა ხალხმა მოიპოვა იმპერიალიზმის დაქირავებულ აგენტებზე, ამავე დროს ლათინური ამერიკის ქვეყნების ყველა ხალხის გამარჯვება იყო, რომელებმაც მძლავრი ხმა აიმაღლეს თავისუფალი კუბის დასაცავად. პლაია ხირონში გამარჯვება აგრეთვე იყო მშვიდობისა და სოციალიზმის ძალების გამარჯვება, რომლებსაც მეთაურობს საბჭოთა კავშირი, რომელმაც მტკიცედ დაუჭირა ხარი რევოლუციურ კუბას. პლაია ხირონში გამარჯვება არის გამარჯვება მთელი პროგრესული მშვიდობისმოყვარე კაცობრიობისა, რომელმაც გამოაცხადა თავისი სოლიდარობა კუბელი ხალხის სამართლიანი საქმისადმი.

დღესასწაულობს რა იმპერიალისტთა დაქირავებულებზე გამარჯვების მეორე წლისთავს, კუბელი ხალხი ახლა აღნიშნავს აგრეთვე თავისი რევოლუციის ისტორიის მეორე დიდმნიშვნელოვან თარიღს: ორი წლის წინათ, 1961 წლის 16 აპრილს, ფიდელ კასტრომ განაცხადა, რომ კუბის რევოლუცია თავისი მიზნებითა და ამოცანებით სოციალისტური რევოლუციაა.

ანადგურებდნენ რა ინტერვენტებს, კუბელები თავიანთ სოციალისტურ რევოლუციას იცავდნენ. და ამ ორ წელიწადში მათ დიდი წარმატებანი მოიპოვეს იმ მხრივ, რომ მათი სამშობლო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გზით განვითარდეს. და ყოველთვის როცა იმპერიალისტური ძალები კვლავ ცდილობდნენ აღიმართათ ხელი თავისუფალ კუბის წინააღმდეგ, გმირი კუნძულის ხალხი მტკიცედ აცხადებდა და აცხადებს: „გაიხსენეთ პლაია ხირონი!“, „სამშობლო ან სიკვდილი!“, „ჩვენ გვიმარჯვებთ!“.

მეგოგრობის დადასტურება

დელი, 16 აპრილი. (საკდესი). წარსული კვირაოდე დიდი დღესასწაული იყო ბპილაის მეტალურგიულ ქარხანაში — ამ დღეს გაიმართა „ოფიციალური ზეიმი იმის გამო, რომ ქარხანამ 1962-1963 წელს მიაღწია საპროექტო სიმძლავრეებს ყველა სახეობის პროდუქციის მიხედვით.

ქარხნის მუშათა, ინჟინერთა და ტექნიკოსთა მასობრივ მიტინგზე საწარმოს წამყვან საამქროებს გადაეცათ სამახსოვრო პრიზები.

მიტინგზე გამოსულმა ორატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს ის დიდი როლი, რომელსაც ბპილაის მეტალურგიული ქარხანა ასრულებს ინდოეთის მთელი მეტალურგიულ მრეწველობის განვითარებაში.

ზეიმს დაესწრო ინდოეთის ფოლადისა და მძიმე მრეწველობის მინისტრის მოადგილე პ. კ. სეტჰი, რომელმაც განაცხადა: ბპილაი საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობისა და თანამშრომლობის მკაფიო დადასტურებაა.

კანონიერების ახალი უხეში დარღვევა

ნიუ-იორკი, 16 აპრილი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტრომ გადაწყვიტა კიდევ ხუთი ამერიკელი კომუნისტი გახადოს მსხვერპლი თავისი დევნისა მაკარუნის კანონის საფუძველზე.

სამინისტრომ დაავალა ეგრეთწოდებულ ძირგამომთხრელი საქმიანობისადმი კონტროლის სამმართველოს აწარმოოს გამოძიება, რათა განსაზღვროს, უნდა გატარდნენ თუ არა ისინი რეგისტრაციაში მაკარუნის კანონის საფუძველზე. თუ სამმართველო მოსთხოვს კომუნისტებს რეგისტრაციას, ისინი კი უარს იტყვიან ამაზე, მათ მოელით ხანგრძლივი პატიმრობის განაჩენი.

დევნილ კომუნისტთა შორის არიან ნიეიორკელი ირვინგ პოტაში, უილიამ უეინსტუნი, მილდრედ მაკედორი ედელმანი და დანიელ რუბინი, აგრეთვე ფილადელფიელი თომას ნებრიდი.

ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ელიზაბეტ ჰარლი ფლინმა დაგმო ახალი დევნა და განაცხადა: „ამ დევნის განგრძობა და გაფართოება იმ დროს, როცა მაკარუნის კანონის კონსტიტუციურობის საკითხს ჯერ კიდევ განიხილავენ სასამართლოებში კანონიერების უხეში დარღვევაა“.

სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება

ნიუ-იორკი, 17 აპრილი. (საკდესი). აქ ცნობილი გახდა ამერიკის შეერთებულ შტატებში კუბელ კონტრრევოლუციონერთა ლიდერის მირო კარდონას განცხადება, რომელშიც იგი პრეზიდენტ კენედის ბრალსა სდებს, რომ მან „დაარღვია დაპირებანი და შეთანხმებანი“ კუბაში ახალი შეჭრის შესახებ. როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იტყობინება, ამ განცხადებაში კარდონა ამტკიცებს, რომ „1961 წლის 20 აპრილს პრეზიდენტმა პირადად მოაწერა ხელი შეთანხმებას, რომელიც კუბაში ახალ შეჭრას ითვალისწინებდა“.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ამ განცხადებაში, რომელიც კარდონამ რეგოლუციური საბჭოს (კუბელ კონტრრევოლუციონერთა ორგანიზაცია, — რედ.) სხდომაზე წაიკითხა, აგრეთვე ნათქვამია, რომ „თეთრ სახლში პრეზიდენტ კენედისთან და იუსტიციის მინისტრ რობერტ კენედისთან შეხვედრის დროს პრეზიდენტი საკმაოდ კონკრეტულად ამბობდა, თუ რა ტამენტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც უარყოფს მირო კარდონას ნათქვამს შეერთებული შტატების მიერ კუბაში ახალი შეჭრის შეთანხმებაზე ხელის მოწერის შესახებ. სახელმწიფო დეპარტამენტი აღნიშნავს, რომ მას „ეს განცხადება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პოლიტიკის უხეშ დამახინჯებად მიაჩნია“. „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, — აცხადებს სახელმწიფო დეპარტამენტი, — ახლანდელ პირობებში განზრახული არა აქვს შეეიდეს „კავშირებში“ ან მონაწილეობა მიიღოს ისეთ მოქმედებაში, რომელიც შეერთებულ შტატებს აიძულებდა ამქამად ომში ჩაბმულიყო“.

ამასთანავე სახელმწიფო დეპარტამენტი ხაზს უსვამს, რომ იგი სავსებით იზიარებს „კუბელ ემიგრანტთა მხურვალე მისწრაფებას დაბრუნდნენ დამოუკიდებელ და თავისუფალ კუბაში“, და აცხადებს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს „არ შეუძლიათ კუბასთან თანაარსებობა“.

მდგომარეობა სურების ხეობაში

სურების ხეობა, 16 აპრილი. საკდესის კორესპონდენტი ი. **კურჩაკინი** იტყობინებს:

ლაოსის პრემიერ-მინისტრმა პრინცმა სუვანა ფუმამ იმოგზაურა სურების ხეობაში, რათა გაცნობოდა იქ შექმნილ ვითარებას. მასთან ერთად ჩამოვიდნენ პრემიერ-მინისტრის მოადგილე, ნეო ლაო ხაკ სატის პარტიის თავმჯდომარე პრინცი სუფანუვონგი, შინაგან საქმეთა მინისტრი ფოხგასვანი, სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ელჩები ლაოსში ს. ა. ფანასიევი, დ. ჰოსსონი, აგრეთვე საერთაშორისო საკონტროლო კომისიის წევრები.

პრინც სუვანა ფუმას წინადადებაა ხანა-ხანაში მოეწყოს მთავრობის წევრთა თათბირი ნეიტრალისტური ჯარების სარდალთან (გენერალი კონგ ლე) და პატეტ-ლაოს ჯარების სარდალთან (გენერალი სინკაპო), აგრეთვე კონგ ლეს ჩამოშორებული ბატალიონების ხელმძღვანელთან პოლკოვნიკ დინთან. მაგრამ კონგ ლემ უარი თქვა პოლკოვნიკ დინთან შეხვედრაზე, რაც ბევრის აზრით იმას ნიშნავს, რომ კონგ ლეს არ სურს მშვიდობიანი გზით გადაიტანოს ნეიტრალისტურ ჯარებში არსებული უთანხმოებანი.

ხანა-ხანის თათბირი კონგ ლეს დაუწერებლად გაიმართა. როგორც ეუწყებოდა, თათბირის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები სურების ხეობის მდგომარეობის შესახებ, მოისმინეს მხარეთა წინადადებანი ვითარების ნორმალიზაციის გამო.

კორესპონდენტებთან საუბარში პოლკოვნიკმა დინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნეიტრალისტურ ჯარებს შორის არსებული უთანხმოებანი, რაც ამ ცოტა ხნის წინათ აშკარა სამხედრო შეტაკებად გადაიქცა, შედეგია გენერალ კონგ ლესა და მისი გარემოცვის მთელი რიგი თვითნებური მოქმედებისა, შედეგი საერთაშორისო და შინაური რეაქციის — მშვიდობიანი და ნეიტრალური ლაოსის მტრების ბრიკეებისა.

საქმე ის არის, რომ გენერალმა კონგ ლემ ანგარიში გაუსწორა ნეიტრალისტური ჯარების ოფიცრებსა და ჯარისკაცებს, რომლებიც მთელი პატრიოტული ძალების კავშირის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის იბრძვიან. კერძოდ, მისი ბრძანებით 6 აპრილს დახვრიტეს ერთ-ერთი ბატალიონის მეთაური, მეთაურის მოადგილეები და 25 ჯარისკაცი. ამ ნიადაგზე ნეიტრალისტურ ჯარებში შეიქმნა აღშფოთება და უკმაყოფილება, რის ჩახშობასაც კონგ ლე იარაღის ძალით ცდილობდა. იგი დარწმუნდა, რომ უძლური იყო და დადო კონტაქტი გენერალ ნოსავანთან, რათა სამხედრო მაშველი ძალა მიეღო მისგან.

კითხვაზე, თუ რა არის საჭირო იმისათვის, რომ მშვიდობიანად გადაიტანოს ნეიტრალისტურ ჯარებს შორის არსებული უთანხმოებანი, პოლკოვნიკმა უპასუხა, რომ საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, სურების ხეობის რაიონიდან, ნეიტრალისტური ჯარებიდან გაიყვანონ ნოსავანელები და გაათავისუფლონ კონგ ლეს მიერ დაპატიმრებული ოფიცრები.

იგივე თვალსაზრისი გამოთქვა ნეო ლაო ხაკ სატის პარტიის თავმჯდომარემ გენერალმა სინკაპომაც.

ვიენტიანში დაბრუნების წინ პრემიერ-მინისტრმა თავისთან მიიწვია გენერლები კონგ ლე და სინკაპო. მან წინადადება მისცა კონგ ლეს — და ეს უკანასკნელი დაჰპირდა, რომ თავს შეიკავებს რაიმე საომარი მოქმედებისაგან.

„თავისუფალი სამყარო“, როგორიც არის იგი

ნიუ-იორკი. რაიონი, სადაც ღარიბები ცხოვრობენ. აგურის ორსართულიან სახლთან, რომელსაც საქველმოქმედო ორგანიზაციის აბრა აქვს, გრძელი რიგი დგას. დგას დიდხახს და მოთმინებით. გაცვეთილი ტანსაცმელი და ცოდად გაკარსული სახეები მოწმობს, რომ ამ ადამიანებს დიდიხანია სამუშაო არა აქვთ.

კართან შეჯგუფებულან ყველაზე მოუთმენელნი და ყველაზე მშიერნი.

ფოტო პრენსა ლატინა-საკდესისა.

მეატომეთა ახალი გეგმები

ნიუ-იორკი, 16 აპრილი. (საკდესი). ამერიკის პრესა ბევრს წერს ამ დღეებში დასავლეთის სახელმწიფოთა ატომური გეგმების შესახებ. ამასთან დაკავშირებით დიდ იმედებს ამყარებენ ნატოს სბჭოს სესიაზე, რომელიც გაიმართება ოტავაში მაისის დამლევს. „იქ ალბათ, — წერს „ნიუ-იორკ ტაიმსი“, — გამოაცხადებენ, რომ იქმნება ნატოს ატომური ძალები, რომელშიც შეივლენ ეროვნული კონტინგენტები“.

„მრავალმხრივი“ და „მრავალეროვნული“ ატომური ძალების გეგმების მარცხის შემდეგ შეერთებულმა შტატებმა წამოაყენეს ეგრეთწოდებული „სამოკავშირეო“ ძალების შექმნის პროექტი. ვაშინგტონი მოუცავს ასეთი ატომური ძალების „შექმნის გეგმებს“, იუწყება „ნიუ-იორკ ტაიმსი“. გაზეთი განმარტავს, რომ „სამოკავშირეო“ ძალები გამოყოფილ იქნებიან „ეროვნული კონტინგენტებიდან და მათ კონტროლს გაუწევს, უხელმძღვანელებს. წარმართავს და დაკომპლექტებს დასავლეთის კავშირის ყველა ან რამდენიმე წევრი, ან ერთერთი წევრი“.

„ახალი „სამოკავშირეო“ გეგმა, — განაგრძობს გაზეთი, — ნატოსათვის უზრუნველყოფს ახალი სისტემების იარაღის გამოყენების გამოცდილებას, ამასთან არ დაარღვევს მისი სარდლობის სტრუქტურას“. ეს ახალი გეგმა, როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ წერს, შედეგია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის დინ რასკისა და ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის რობერტ მაკნამარას თათბირებისა დასავლეთ ევროპის სახელმწიფო მოღვაწეებთან.

ამ გეგმის თანახმად, იუწყება „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“, შეერთებულმა შტატებმა უნდა გამოკაყოს „პოლარისის“ რაკეტებით აღჭურვილი სამი წყალქვეშა ნავი. დიდმა ბრიტანეთმა მოკავშირე ძალების უმაღლესი მთავარსარდლის განკარგულებაში უნდა გადასცეს ატომური იარაღით აღჭურვილი ბომბდამშენების ფლოტი.

მოგვიანებით, იუწყება „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“, „სამოკავშირეო“ ატომურ ძალებს შეუერთდებიან საბერძნეთი, თურქეთი, ნიდერლანდი და იტალია, რომლებმაც უკვე მოაწერეს ხელი შეთანხმებებს თავიანთი სამხედრო თვითმფრინავებისათვის ამერიკული ატომური იარაღის მიღების შესახებ, აგრეთვე ბელგია, დასავლეთი გერმანია, საფრანგეთი და კანადა, რომლებთან მოლაპარაკება ჯერ კიდევ წარმოებს. „ორგანიზაციისა და სარდლობის დარგში კონკრეტული ღონისძიებანი, — ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, — უადრესად სამხედრო პრობლემებია, რომლებიც შემუშავდება მომავალ თვეში“.

ახლა ამერიკის პრესაში ბევრი რამ იწერება იმის შესახებ, რომ დაგეგმილ „სამოკავშირეო“ ატომურ ძალებში მნიშვნელოვანი როლი მიენიჭებათ ევროპის ქვეყნების ოფიცრებს. ისინი, როგორც „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ წერს, აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ „გეგმების შედგენასა და პოტენციური ობიექტების შერჩევაში“ ამ ძალებისათვის.

ფაქტიურად კი ვაშინგტონი საეჭვოა, რომ მზად იყოს უარი თქვას მთავარ როლზე ნატოს ატომური სტრატეგიის განსაზღვრაში. ნატოს „სამოკავშირეო“ ატომური ძალები, როგორც ლონდონის გაზეთი „ტაიმსის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი აღნიშნავს, კვლავინდებურად დაექვემდებარება ევროპაში განლაგებულ მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდალს — ეროვნებით ამერიკელს, და ამერიკის შეერთებულ შტატებს წინანდებურად განზრახული აქვთ დაიტოვონ უკანასკნელი სიტყვა ატომური იარაღის გამოყენების დროს.

კაიროში ხელი მოაწერეს კომუნიკეს

კაირო, 17 აპრილი. (საკდესი). მენის სააგენტო იუწყება, რომ დღეს კაიროში ხელი მოაწერეს კომუნიკეს, რომელშიც გამოცხადებულია რომ შეიქმნა ეგვიპტის, სირიისა და ერაყის ფედერაცია.

კომუნიკეს ხელი მოაწერეს: არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მხრივ — პრეზიდენტმა გამალ აბდელ ნასერმა, სირიის მხრივ — გენერალ-ლეიტენანტმა ლუეი ალატასიმ, ერაყის მხრივ — პრემიერ-მინისტრმა აბმედ ჰასან ბეკრმა.

დაკაპიტალურეს პედრო საადი

გუაიაკილი, 16 აპრილი. (საკდესი). ქალაქის ხელისუფალთა განკარგულებით აქ დააპატიმრეს ეკვადორის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი პედრო საადი.

კომუნისტი

მე-3 გვერდი, ხუთშაბათი, 18 აპრილი, 1963 წ.

საერთაშორისო ჩანაფიქრი, ცნობიერი მიზეზები, ცხოვრება

ეს უგუნური ნაბიჯია

სტივენსონის გამოსვლა ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციაში

ვაშინგტონი, 16 აპრილი. (საკდესი). ეგრეთწოდებულ პანამერიკული კავშირის დღესთან დაკავშირებით გუშინ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციაში სიტყვა წარმოთქვა ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ედლაი სტივენსონმა.

მან დაგმო ამერიკელი „ცოფიანების“ მოწოდებანი, რომ „გადამკრელი“ მოქმედება განხორციელდეს კუბის წინააღმდეგ. „ის, ვისაც უნდა გადაგვადგმევინოს უკიდურესი და უგუნური ნაბიჯი, — თქვა სტივენსონმა, — არ ემსახურება არც შეერთებული შტატების, არც ჩვ

ლიტერატურისა და ხელოვნების ქრონიკები

ახალი ამბები

სიახლენი • ცნობები • ფაქტები • სპორტი

ჩვენი ქალაქების სილამაზისათვის

ბათუმი. (საკ. კორ.). გამწვანების ტრესტის შრომისმოყვარე კოლექტივს ყოველწლიურად ასეულ ათასობით ძირი დეკორაციული მცენარე გამოჰყავს და ამით დიდ დახმარებას უწევს ჩვენი ქვეყნის ქალაქების მშრომელებს ეუჩებისა და პარკების კეთილმოწყობაში. მარტო უკანასკნელ სამ თვეში გამწვანების ტრესტმა რუსთავში, ახალციხესა და საქართველოს სხვა ქალაქებში გაგზავნა 15 ათასი მანეთის დეკორაციული მცენარე. ამ დღეებში კი 13 ათასი ცალი ნარგავი გაიგზავნა ქ. გორის პარკებსა და სკვერებში დასარგავად.

საგასტროლოდ ზესტაფონსა და ჭიათურაში

ზესტაფონი. (საკ. კორ.). კულტურის სახლში წარმატება ხვდა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის დამსახურებულ ანსამბლს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ა. კაკაბაძის ხელმძღვანელობით.

ზესტაფონიდან ანსამბლი მარგანეცის ქალაქს ესტუმრა და აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრში რამდენიმე კონცერტი გამართა.

სახალხო თეატრის დათვალიერება

ამბროლაური. (საკ. კორ.). ორ დღეს მიმდინარეობდა ამბროლაურის სახალხო თეატრის დათვალიერება. დრამატული კოლექტივი მაყურებლის წინაშე წარსდგა ორი საუკეთესო დადგმით — გ. ბერძენიშვილის „ჩემს სოფელში“ და ალ. აფხაიძის კომედია „დიბრუნეთ თქვენი ახალგაზრდობა“.

დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღეს თეატრმცოდნე ე. კვირკველიამ და დრამატურგმა აკ. დეკიძემ.

ოდის მესხური პონსერვი

ახალციხე. (საკ. კორ.). გასულ წელს ხილის უხვმა მოსავალმა შესაძლებელი გახადა სრული დატვირთვით ემუშავნა „საქკონსერვტრესტის“ ახალციხის საკონსერვო ქარხანას, რომელმაც პროდუქციის გამოშვების 1962 წლის დავალება დიდი გადაჭარბებით შეასრულა.

მეტი პროდუქციისათვის ბრძოლა ქარხანაში კვლავ გრძელდება. იანვრის დასაწყისიდან დღემდე უკვე გამოშვებულია 145.600 პირობითი ქილა კომპოტი, 110.700 მარინადი, 16.800 — ხილფაფა და 68.650 კილოგრამი ხილის წვენი, რაც დიდად აღემატება ოთხი თვის დავალებას.

სპირველმაისო შრომითს ვახტზე დგანან და ნაყოფიერად შრომობენ მუშები ი. ბერიძე, ა. ლურსმანაშვილი, ტ. ყურაშვილი, ბ. გორგოძე, ვ. ნამგალაძე, ვ. ჩხიტუნაძე, ღ. არეკაძე, ჰ. ოგანესიანი და სხვები, რომლებიც დღიურ ნორმებს სისტემატურად 130-150 პროცენტით ასრულებენ.

თავის მეასე გაზაფხულს ხვდება ამჟამად ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჯლერდის „პრავდის“ სახელობის არტელის უხუცესი კოლმეურნე ასტან ზლარბა. ბევრი რამ საინტერესო ამბავი აქვს მას შემონახული მეხსიერებაში სოფლის ბავშვებისათვის. და აი ახლა ისინი მხიარულად იცინიან, როცა ისმენენ ასი წლის ასტანის ზღაპრებს, ანდაზებს, მოსწრებულ სიტყვებს.

ფოტო ი. ჭოხონელიძისა
(საქდესის ფოტოკრონიკა).

ბიორგი ლიბამინჯიმ ამ თორმეტიოდე წლის წინათ დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი და მას შემდეგ სოფელ ადგილებში მუშაობს ექიმად. რამდენიმე წელი იმუშავა სოფ. ზემის რაიონის სოფელ მერხეულის მკურნალ ექიმად. 1954 წლიდან კი დრანდის სოფლის საავადმყოფოს სამეანო-გინეკოლოგიური განყოფილების გამგედ. ავადმყოფებთან გულისხმიერი და დაკვირვებული მუშაობით საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

სოფლის ექიმი— გამომგონებელი

პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად გ. ლიბამინჯია მეცნიერულ მუშაობას ეწევა, ცდილობს თავისი ნვლილი შეიტანოს მედიცინაში სიახლის დანერგვასა და განვითარებაში. ამას წინათ გამოიგონა და დაამზადა გინეკოლოგიური ხელსაწყო, რომელსაც წარმატებით იყენებს გინეკოლოგიური ოპერაციების დროს. გამოგონება მოიწონა და დაამტკიცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა გამოგონებისა და აღმოჩენის საქმეთა კომიტეტმა. მალე იგი ფართოდ დაინერგება ჩვენი ქვეყნის სამედიცინო დაწესებულებებში.

ი. ბოგოეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

თხევადი გაზი —კახეთს

გურჯაანი. (საკ. კორ.). კახეთის ქალაქებსა და სოფლებში თხევადი გაზით ბევრი ოჯახი სარგებლობს. მარტო თელავის რაიონში დადგმულია 1.125 გაზქურა. დიასახლისები კმაყოფილი არიან.

მოსახლეობას თხევადი გაზით გურჯაანის საამქრო ამარაგებს. თბილისიდან გაზი ცისტერნებით მიაქვთ. საამქრო კი ბალონებით გზავნის დანიშნულებისამებრ. პირველ კვარტალში 71 ტონა თხევადი გაზი გამოუშვეს. გაცილებით მეტი იქნება მეორე კვარტალში.

გამოცდილების ესტაფეტი

თამბაქო... უნიკოტინოდ

პატარა სტატიით „იზვესტიაში“ მინდა გუპასუხო საბჭოთა კავშირიდან მიღებულ მრავალ წერილზე, რომლებშიც გამოხატულია ინტერესი ჩვენი პრაქტიკული შედეგებისადმი ახალი ჯიშის თამბაქოს — ეგრეთწოდებული უნიკოტინო თამბაქოს მოყვანის საქმეში. ბულგარეთის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მემცენარეობის ინსტიტუტის თანაშრომლებმა შეძლეს ისეთი ჯიშის თამბაქოს შექმნა, რომელიც ინარჩუნებს მოსაწევ თვისებებს და ამავე დროს სამკურნალო თვისებებიც აქვს.

ჯერ კიდევ მეოთხედი საუკუნის წინათ საბჭოთა მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ნიკოტინი იქმნება ფესვთა სისტემაში და შემდეგ ფოთლებში გადადის. სწორედ ამ საფუძველზე დავიწყეთ ჩვენი ცდები. სათბურებში დავთესეთ სარეველა ლემას (ბულგარულად ტატული) თესლი. ამ მცენარის ფესვები შეიცავენ სამკურნალო სამუალებას ატროპინს. ეს მცენარე 15-20 სანტიმეტრ სიმაღლეს რომ მიაღწევს, ზედ დავამყნობთ თამბაქოს მორჩს. ერთი კვირის შემდეგ მცენარეები ერთმანეთს შეეზრდებიან.

ახალი ჯიშის თამბაქოს ქიმიურმა ანალიზმა ცხადყო, რომ ფოთლებში თითქმის მთლიანად ქრება ნიკოტინი და მის ნაცვლად იქმნება 0,10-0,12 პროცენტი ატროპინი. „ატროთამბაქოს“ შემდგომმა კლიმატურმა გამოკვლევამ დაამტკიცა მისი სამკურნალო ეფექტი ისეთ დაავადებათა წინააღმდეგ, როგორიც არის ასთმა, კუჭის წყლული, სისხლის მომატებული წნევა, გულის დაავადებანი, საღათას ძილი. ამრიგად, ახლა შეიძლება ითქვას, რომ არსებობს ისეთი თამბაქოს მოყვანის საშუალება, რომელსაც ზიანი კი არ მოაქვს, არამედ კურნავს მთელ რიგ ავადმყოფობებს.

რა თქმა უნდა, ახალი ჯიშის თამბაქოს მოყვანის პროცესი რთული და შრომატევადია. ჰექტარზე გამოგვყავს 10-15 ათასი ცალი ჩითილი, რომელთაგან თვითეული ხელით გამყნობთ, და ამიტომ იხარჯება დაახლოებით ორჯერ მეტი შრომადღეები, ვიდრე ჩვეულებრივ. ახალი ჯიშის თამბაქო ჩვეულებრივ ნიკოტინიან თამბაქოზე გაცილებით ძვირია, მაგრამ სამედიცინო თვალსაზრისით ძალიან ეფექტურია.

ჩვენ განვაგრძობთ მუნობის მეთოდის სრულყოფას. უახლოესი ამოცანაა ამ შრომატევადი სამუშაოს მექანიზაცია. შარშან მიგიღეთ თამბაქოს 55 კილოგრამი მოსავალი, რომლიდანაც პლოვდივის თამბაქოს ფაბრიკაში დამზადებულ იქნა „ატროთამბაქოს“ სიგარეტების პატარა პარტია. წელს ჩვენი ლაბორატორიული ცდები მეთამბაქოობის რამდენიმე მეურნეობაში გადავაქვთ.

ჩვენი ცდით ბევრი ქვეყნის მეთამბაქოეები დაინტერესდნენ. ამას წინათ ბულგარეთში საბჭოთა კავშირიდან ჩამოვიდნენ მეთამბაქოე სპეციალისტები. საერთო დასკვნა ყველასი, ვინც კი უნიკოტინო თამბაქოს მოყვანის ცოცხალ გაეცნო, ასეთია: მისი მოყვანა მეთამბაქოობის ყველა რაიონში შეიძლება.

ხრისტო გეორგიევი,
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

სოფია, აპრილი.
„იზვესტია“.

ელექტრონული „მთარგმნელი“

გონიერი მანქანები ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში იჭრება. ის, რაც წინათ ფანტასტიკა იყო, დღეს რეალობას წარმოადგენს. დღეს ალარავის აკვირვებს მანქანები, რომლებიც ფიქრობენ, უპასუხებენ შეკითხვებზე, იყვანენ რთულ მათემატიკურ ამოცანებს.

მოსკოვის ტექნიკური და სამეცნიერო ინფორმაციის საკავშირო ინსტიტუტში მიმდინარეობს მუშაობა მანქანურ მთარგმნელობაზე.

მანქანური მთარგმნელობის სისტემა ინგლისურიდან რუსულ ენაზე შედგება გამომთვლელი მანქანისა და საბეჭდი მოწყობილობისაგან. თვითონ გამომთვლელი მანქანა ამზადებს ლექსიკონს სათარგმნელად დიდი რაოდენობის ინგლისური ტექსტის გადათვალიერების გზით. ეს ლექსიკონი ინახება „მეხსიერებაში“ პერფოკარტებზე.

სისტემა საშუალებას იძლევა განხორციელდეს უპირველეს ყოვლისა გამოთვლითი ტექნიკის ინგლისური ტექსტის თარგმნა.

• • •

სურათებზე: (ზევით) ინჟინერი ე. ცარიოვა ელექტრონულ გამომთვლელ მანქანასთან, რომელიც ლექსიკონს ამზადებს; (ქვევით) ნათარგმნი ტექსტის ტაბულოგრამა.

ფოტო ე. ევზერიხინისა.
(საკდესის ფოტოკრონიკა).

ოლიას ფიქრები და იმედები

ფეხბურთის მიმოხილვა

ოლიას, გრძელი და ძნელია წელს ფეხბურთის მარათონი ჩვენს ქვეყანაში. „ოქროს ოცეულის“ თვითეულმა მონაწილემ 38 ეტაპი უნდა გადალახოს, რომ დამთავრდეს სსრ კავშირის XXV საიუბილეო ჩემპიონატი.

მაგრამ მარტო ის ხომ არ არის საჭირო, რომ საფეხბურთო მოედნების მწვანე ბალახზე გუნდებმა გამართონ 880 მატჩი — გაატარონ იქ 34.200 წუთი, არამედ საჭიროა ეცადონ მოიგონ რაც შეიძლება მეტი შეხვედრა, ხოლო წაგონ რაც შეიძლება ნაკლები.

ამისათვის კი ბევრი რამ არის აუცილებელი: კარგად დაკომპლექტებული შემადგენლობა, საიმედო რეზერვი, ტურნირის მთელ დისტანციაზე ძალების სწორად განაწილების უნარი. ისეთ ფაქტორებზე აღარ ვლაპარაკობთ, როგორიც არის გუნდის ტექნიკური კვალიფიკაცია, შექმნილ ვითარებასთან ან ამა თუ იმ მეტოქის თამაშის მანერასთან ტაქტიკის შეფარდების უნარი. ახლა ხომ არ არიან ნამდვილი „მსხვერპლნი“, რომლებსაც შეიძლება, როგორც იტყვიან, „მარცხენა ფეხით“ აართვა ორი ქულა!

რა თქმა უნდა, საჭიროა აგრეთვე დისციპლინა, როგორც თამაშში, ისე საერთო, სიდინჯე (განსაკუთრებით ძნელ სიტუაციაში და მოწინააღმდეგეთა მოედნებზე). მიზანსწრაფულობა და სიმამაცე ძნელ სპორტულ ბრძოლაში.

ვფიქრობ, რომ ჩემპიონის ოქროს მედლის მოსამოვებლად ამ წოდების პრეტენდენტმა გუნდმა თვითეული მეტოქისაგან უნდა მოაგროვოს საშუალოდ სამ-სამი ქულა. ტურნირის დაძაბულობას თუ გავითვალისწინებთ, მცირე შეღავათი უნდა გავაკეთოთ. გამოდის დაახლოებით ასეთი ჯამი: 54-56 ქულა. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ თავის მინდორზე გუნდმა ამ შემთხვევაში უნდა მოაგროვოს დაახლოებით 30-33 ქულა. დანარჩენი კი შესაბამისად „მოითავოს“ სტუმრად ყოფნისას. პირველ ხუთეულში გამოსვლისათვის, ჩანს, საჭირო იქნება 50-52 ქულა, პირველ ათეულში გამოსვლისათვის — 38-40 ქულა და, ბოლოს, 1964 წელს „ა“ კლასის უძლიერეს ქვეჯგუფში დარჩენისათვის — დაახლოებით 30-32 ქულა.

რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ პროგნოზია, ხოლო ცნობილია, რომ სპორტში პროგნოზების სიზუსტე ნაკლებია, ვიდრე თუნდაც ამინდის ბიუროს ცნობებში!

ყველა ამ თვალსაზრისით როგორ გამოიყურება ჩემპიონატის სტარტი — პირველი 40 მატჩი, რომლებსაც ჩვენი საშშობლოს სამხრეთი ქალაქების სტადიონებზე ფეხბურთის 1.200.000-მდე მოყვარული დაესწრო.

ერთი ზედმეტი გატანილი ბურთის მეოხებით წინ არის თბილისის „დინამოს“ გუნდი. პირდაპირ ვიტყვი, რომ აქ ახალი არაფერია, ეს სავსებით ლოგიკურია. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ საქართველოს საუკეთესო გუნდი მაღალი ტექნიკური კვალიფიკაციისა, შექმნილ ვითარებასთან ან ამა თუ იმ მეტოქის თამაშის მანერასთან ტაქტიკის შეფარდების უნარი. ახლა ხომ არ არიან ნამდვილი „მსხვერპლნი“, როგორც იტყვიან, „მარცხენა ფეხით“ აართვა ორი ქულა!

რა თქმა უნდა, საჭიროა აგრეთვე დისციპლინა, როგორც თამაშში, ისე საერთო, სიდინჯე (განსაკუთრებით ძნელ სიტუაციაში და მოწინააღმდეგეთა მოედნებზე). მიზანსწრაფულობა და სიმამაცე ძნელ სპორტულ ბრძოლაში.

ვფიქრობ, რომ ჩემპიონის ოქროს მედლის მოსამოვებლად ამ წოდების პრეტენდენტმა გუნდმა თვითეული მეტოქისაგან უნდა მოაგროვოს საშუალოდ სამ-სამი ქულა. ტურნირის დაძაბულობას თუ გავითვალისწინებთ, მცირე შეღავათი უნდა გავაკეთოთ. გამოდის დაახლოებით ასეთი ჯამი: 54-56 ქულა. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ თავის მინდორზე გუნდმა ამ შემთხვევაში უნდა მოაგროვოს დაახლოებით 30-33 ქულა. დანარჩენი კი შესაბამისად „მოითავოს“ სტუმრად ყოფნისას. პირველ ხუთეულში გამოსვლისათვის, ჩანს, საჭირო იქნება 50-52 ქულა, პირველ ათეულში გამოსვლისათვის — 38-40 ქულა და, ბოლოს, 1964 წელს „ა“ კლასის უძლიერეს ქვეჯგუფში დარჩენისათვის — დაახლოებით 30-32 ქულა.

რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ პროგნოზია, ხოლო ცნობილია, რომ სპორტში პროგნოზების სიზუსტე ნაკლებია, ვიდრე თუნდაც ამინდის ბიუროს ცნობებში!

ყველა ამ თვალსაზრისით როგორ გამოიყურება ჩემპიონატის სტარტი — პირველი 40 მატჩი, რომლებსაც ჩვენი საშშობლოს სამხრეთი ქალაქების სტადიონებზე ფეხბურთის 1.200.000-მდე მოყვარული დაესწრო.

ერთი ზედმეტი გატანილი ბურთის მეოხებით წინ არის თბილისის „დინამოს“ გუნდი. პირდაპირ ვიტყვი, რომ აქ ახალი არაფერია, ეს სავსებით ლოგიკურია. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ საქართველოს საუკეთესო გუნდი მაღალი ტექნიკური კვალიფიკაციისა, შექმნილ ვითარებასთან ან ამა თუ იმ მეტოქის თამაშის მანერასთან ტაქტიკის შეფარდების უნარი. ახლა ხომ არ არიან ნამდვილი „მსხვერპლნი“, როგორც იტყვიან, „მარცხენა ფეხით“ აართვა ორი ქულა!

რა თქმა უნდა, საჭიროა აგრეთვე დისციპლინა, როგორც თამაშში, ისე საერთო, სიდინჯე (განსაკუთრებით ძნელ სიტუაციაში და მოწინააღმდეგეთა მოედნებზე). მიზანსწრაფულობა და სიმამაცე ძნელ სპორტულ ბრძოლაში.

ვფიქრობ, რომ ჩემპიონის ოქროს მედლის მოსამოვებლად ამ წოდების პრეტენდენტმა გუნდმა თვითეული მეტოქისაგან უნდა მოაგროვოს საშუალოდ სამ-სამი ქულა. ტურნირის დაძაბულობას თუ გავითვალისწინებთ, მცირე შეღავათი უნდა გავაკეთოთ. გამოდის დაახლოებით ასეთი ჯამი: 54-56 ქულა. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ თავის მინდორზე გუნდმა ამ შემთხვევაში უნდა მოაგროვოს დაახლოებით 30-33 ქულა. დანარჩენი კი შესაბამისად „მოითავოს“ სტუმრად ყოფნისას. პირველ ხუთეულში გამოსვლისათვის, ჩანს, საჭირო იქნება 50-52 ქულა, პირველ ათეულში გამოსვლისათვის — 38-40 ქულა და, ბოლოს, 1964 წელს „ა“ კლასის უძლიერეს ქვეჯგუფში დარჩენისათვის — დაახლოებით 30-32 ქულა.

რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ პროგნოზია, ხოლო ცნობილია, რომ სპორტში პროგნოზების სიზუსტე ნაკლებია, ვიდრე თუნდაც ამინდის ბიუროს ცნობებში!

ყველა ამ თვალსაზრისით როგორ გამოიყურება ჩემპიონატის სტარტი — პირველი 40 მატჩი, რომლებსაც ჩვენი საშშობლოს სამხრეთი ქალაქების სტადიონებზე ფეხბურთის 1.200.000-მდე მოყვარული დაესწრო.

**ერთი ზედმეტი გატანილი ბურთის მეოხებით წინ არის თბილისის „დინამოს“ გუნდი. პირდაპირ ვიტყვი, რომ აქ ახალი არაფერია, ეს სავსებით ლოგიკურია. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ საქართველოს საუკეთესო გუნდი მაღალი ტექნიკური კვალიფიკაციისა, შექმნილ ვითარებასთან ან ამა თუ იმ მეტოქის თამაშის მანერასთან ტაქტიკის შეფარდების უნარი. ახლა ხომ არ არიან ნამდვილი „მსხვერპლნი“, რომლებსაც შეიძლება